



**თბილისის მოკლემეტრაჟიანი ფილმების  
მე-2 საერთაშორისო ინტერნეტ ფესტივალი  
1 სექტემბერი – 15 დეკემბერი 2021  
თბილისი – საქართველო – მთელი სამყარო**

**TBILISI 2<sup>ND</sup> INTERNATIONAL SHORT FILM  
INTERNET FESTIVAL DIOGENES 2021  
September 1st – December 15th 2021  
TBILISI – GEORGIA – THE WHOLE WORLD**

**თბილისის მოკლემეტრაჟიანი ფილმების  
მე-2 საერთაშორისო ინტერნეტ ფესტივალი  
“დიოგენე 2021“**

**„გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის“**

**1 სექტემბერი – 15 დეკემბერი 2021**

**თბილისი – საქართველო – მთელი სამყარო**



**Tbilisi 2<sup>nd</sup> International Short Film**

**Internet Festival**

**DIOGENES 2021**

**September 1<sup>st</sup> – December 15<sup>th</sup> 2021**

**Tbilisi – Georgia – The Whole World**



**თბილისის მოკლემეტრაჟიანი ფილმების მე-2 საერთაშორისო  
ინტერნეტ ფესტივალის მთავარი პრიზები  
მომავალ გამარჯვებულებთან შეხვედრის მოლოდინში**

**The main prizes of the Tbilisi 2<sup>nd</sup> International Short Film  
Internet Festival  
In anticipation of meeting their future owners**



## წინათქმა

ძვირფასო მონაწილენო, სტუმრებო და კინოს მოყვარულებო, მოგესალმებით!

ჩვენ უკვე მეორეჯერ ვხვდებით ერთმანეთს.

ეს არ არის მარტო ჩვენი და თქვენი დამსახურება – ეს არის შედეგი იმ უდიდესი და უანგარო სიყვარულისა, რომელიც ყოველ ჩვენგანს აქვს კინოს მიმართ.

გილოცავთ!

ჩვენ ვართ კინოსამყაროს ყოველი მონაწილის, ყოველი შემოქმედის, ყოველი გულშემატკივრის და ყოველი თაყვანისმცემლის უანგარო და უცნობ-ნაცნობი მეგობარი.

ჩვენ ვართ იმ სიტყვის მატარებელი, რომელიც არ შედგება მხოლოდ ბგერებისა ასოებისგან, არამედ ემოციებისგან, ენერგიისგან და იმ ძალისგან, რომელიც დაეხმარება ყოველ მონაწილეს უფრო განვითარდეს და უფრო დიდი სიმაღლეებისკენ ისწრაფოს კინო ხელოვნებაში.

ჩვენ ვართ ის ფესტივალი, ის მაყურებელი, ის უცნობი თანამდგომი, რომელიც სათანადოდ შეაფასებს ფესტივალზე შემოტანილ თითოეულ ფილმს და არ მოერიდება იმ საჭირო, მართალ და უანგარო სიტყვების თქმას, რაც ასე აუცილებელია ყოველი შემოქმედისთვის, რათა მან ირწმუნოს თავისი შესაძლებლობები, შეამჩნიოს ხარვეზებიც და მიუხედავად ამისა, ნათლად დაინახოს მომავალი პერსპექტივები.

უდიდესი მადლობა გვინდა გადავუხადოთ იმათ ყველას, ვინც ამ ფესტივალის ჩატარებისას გვერდში დაგვიდგა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თბილისი მერიის ამაგი, საქართველოს კინოაკადემია, საქართველოს კულტურის პალატა, თსუ მედიისა და ხელოვნების კოლეჯი, ტელეკომპანია "სმარტნეტი", რომელთა მონაწილეობის გარეშე ეს ფესტივალი ასეთი მასშტაბური ვერ გახდებოდა. მადლობა იმათაც, ვინც ნებისით თუ უნებლიედ აფერხებდა ჩვენს ზრდასა და განვითარებას, ამით ჩვენ ხომ ვიძენთ დამატებით გამოცდილებას, ვსწავლობთ ჭკუას და ვიკრებთ დამატებით ძალას.

ჩვენ ჯერ მხოლოდ ორი წლის ვართ, მაგრამ გვაქვს დიდი იმედი, რომ ის უანგარო სიყვარული და სამართლიანი მიდგომა კინო ხელოვნების მიმართ კიდევ მრავალი წელი მოგვცემს იმის საშუალებას ვიდღესასწაულოთ კინოფესტივალთან ერთად და გვექონდეს უფლება ამაყად გავიმეოროთ დიოგენეს მიერ 25 საუკუნის წინ წარმოთქმული სიტყვები: „**მე მსოფლიოს მოქალაქე ვარ!**“, მხოლოდ ოდნავი კორექტირებით:

**მე მსოფლიო კინოს მოქალაქე ვარ!”**

„დიოგენე 2021“-ის ჟიური და სამუშაო ჯგუფი.



## Preface

Dear participants, guests and cinema lovers, we welcome you!

This is the second time we've met.

And this is not only our merit and yours – it is the result of the greatest and selfless love of each of us for cinema.

Congratulations!

We are the selfless and unfamiliar friends of every participant, every creator, every fan and every enthusiast of the world cinema.

We are the bearers of words consisting not only of letters and sounds, but also of emotions, energy and strength that will help each participant to develop further and strive for greater heights in the art of cinema.

We are that festival, that spectator, that unknown attendant who will properly evaluate each film submitted to the festival and will not shy away from uttering the necessary, honest and selfless words that are so necessary for every creator to believe in his own strength and abilities, to notice shortcomings and at the same time clearly see the prospects for the future.

We thank everyone who supported us at this festival. Particularly noteworthy are the Tbilisi City Hall, the Georgian Film Academy, the Georgian Chamber of Culture, the TSU College of Media and Arts, SmartNET TV Broadcasting, without whose participation this festival would not have become so large-scale. Also, many thanks to those who, willingly or unwillingly, hindered our growth and development - after all, awareness contributes to the acquisition of additional experience, teaches us to be smart and contributes to the recruitment of additional strength.

We are only two years old, but we really hope that this selfless love and a fair approach to the art of cinema will allow us to hold Film Festivals for many more years and we will have the legal right to repeat with pride the words uttered by Diogenes 25 centuries ago: "**I am a citizen of the world!**", with a slight correction:

**'I am a citizen of the world cinema!'**

The Jury and the Executive Team of 'Diogenes 2021'.



### **რა აქვთ საერთო ფილოსოფოს დიოგენესს და “დიოგენე 2021”-ს?**

ქართულში იდიომატური გამოთქმა “ჭურში ზის” სემანტიკურად უცოდინრობის, იგივე “ბალზე ჯდომის” უკიდურეს ფორმად აღიქმება. ამ გარემოების ახსნა კი რამდენიმე გზითაა შესაძლებელი. ერთის მხრივ, ჩვენი შორეული წინაპრებისათვის “ჭური”, იგივე ქვევრი – ქტონური სამყაროს, ანუ ჩვენებური “ქვემო სკნელის” ერთ-ერთ ფუნდამენტურ, არქეტიპულ საგანს წარმოადგენდა, მასში აღმოჩენილი არსება კი მოწყვეტილი იყო ამქვეყნიურ მოვლენებს, რაც მის უცოდინრობას განაპირობებდა. ამას მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური თუ ისტორიული ნიმუშებიც ადასტურებენ – ჩვენი შორეული წინაპრები დამნაშავეებს სწორედ რომ ჭურის ფორმის მქონე დილეგებში მიწის ზედაპირის ქვეშ ამწყვდევდნენ და ამით მათ როგორც ამქვეყნიური მოვლენებისგან, ისე სხვა სახის ინფორმაციისგან განარიდებდნენ.

მეორეს მხრივ, სიტყვა “ჭურის” მეგრულ წარმომავლობას თუ განვიხილავთ, საშოში მჯდომი, ჯერაც არგაჩენილი ჩვილი ასევე შორს დგას ჩვენი სამყაროს აქტუალური მოვლენებისგან, მისი ცოდნა თუ მის ხელთ არსებული ინფორმაცია კი არაამქვეყნიურია. მაგრამ ეს, ჯერაც პრენატალურ მდგომარეობაში მყოფი არსება უკვე ცოცხალია და უკიდურესად აქტიურად ზემოქმედებს მისთვის უხილავ და ჯერაც უცნობ სამყაროზე – დედამიწაზე უკლებლივ ყველა კულტურაში საზოგადოების მთავარ საზრუნავს ხომ მომავალი თაობის დაცვა და ფეხზე დაყენება წარმოადგენდა, ამის განხორციელება კი ორსული ქალების – მომავალი დედების გარეშე, რასაკვირველია, მეუძლებელი იქნებოდა.

დიდმა ბერძენმა ფილოსოფოსმა დიოგენემ ცხოვრების დიდი ნაწილი სწორედ რომ ჭურში გაატარა, და ეს მისი ნებაყოფლობითი არჩევანი გახლდათ. მართალია, ძველი ბერძნები ჩვენებურ ჭურებს “პითოსებს” ეძახდნენ და მათ ქართული ქვევრებისაგან განსხვავებული ფორმასაც კი ანიჭებდნენ, მაგრამ არც ჭური, და არც “ჭურში ჯდომის” სემანტიკა საზოგადოების ეპატირებით დაკავებული დიოგენესათვის უცხო არ უნდა ყოფილიყო. იგი ხომ შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე მდებარე ქალაქ სინოპში დაიბადა, ეს ადგილები კი აქვე, მეზობლად განლაგებულ ლაზეთს ემიჯნებოდა (არაა გამორიცხული, რომ იმხანად ლაზეთის შემადგენლობაშიც კი შედიოდა). ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-5 საუკუნეში მცხოვრები ლაზეთის წინაპართათვის კი სიტყვა “ჭურის” “ჭურტისგან” წარმომავლობა ისეთივე ნათელი უნდა ყოფილიყო, როგორც 21-ე საუკუნეში მცხოვრები, საკითხში ჩახედული მეგრულის მცოდნეთათვის. ზემოთ მოყვანილ მოსაზრებებს ისიც უნდა დაემატოს, რომ ხსენებულ ეპოქაში ადამიანები ეთნიკურ წარმომავლობას ყურადღებას არ აქცევდნენ და მცირე აზიაში მცხოვრებ პრაქტიკულად მთელ ბერძნულენოვან მოსახლეობას ბერძნებად მოიხსენიებდნენ. ამ

ტექსტის ქვემოთ სურათზე მოყვანილი ჭურჭელიც ამას მოწმობს – ეს ისტორიული ქვევრი გადაღებულია არა კახეთის რომელიმე სოფელში, არამედ დიოგენეს მშობლიურ ქალაქ სინოპში.



ლეგენდის თანახმად, ახალგაზრდობაში, ქალაქ დელფოსში ჩასულმა დიოგენემ ადგილობრივი წინასწარმეტყველისათვის, იგივე პითიასთვის დასმულ შეკითხვაზე – “რა ხელობას მივყო მომავალში ხელი” პასუხად მიიღო: “გადააფასე ფასეულობები”. ამ, თავდაპირველად ბუნდოვანი სიტყვებით გაკვირვებული ახალგაზრდა რაღაც ხნის შემდეგ ათენში გადასახლდა, აქ ადგილობრივი ფილოსოფოსის, ანტისფენეს კინიკოსთა, იგივე ცინიკოსთა სკოლას შეუერთდა და თავისი ახალი პოზიციის დასაფიქსირებლად პითოსში, იგივე ჭურში დასახლდა.

გასაკვირი არაა, რომ ათენის რიგითი მაცხოვრებლები ფილოსოფოსს დასცინოდნენ, გიჟად რაცხავდნენ; თქმულების თანახმად ადგილობრივმა

ხელიგნებმა მას თიხის საცხოვრისი ჩაუმსხვრიეს კიდევაც. O sancta simplicitas! (ო-ო, წმინდა გულუბრყვილება!) – მიმართა მსგავს ვითარებაში, ამ მოვლენებიდან 18 საუკუნით გვიან სხვა მოაზროვნემ, ინკვიზიციის მიერ კოცონზე დასაწვავად აყვანილმა ჩეხმა იან ჰუსმა მოხუც ქალს, რომელმაც თავისი წილი ფიჩხი მიიტანა მის აუტოდაფუზე.

ათენის მოქალაქენი არ უწყოდნენ, რომ პითოსის დამტყრევით ვერანაირად ვერ შეარყევდნენ ვერც დიოგენეს მრწამსს, და ვერც მის ღვთაებრივ განწყებას. საკუთარი ნებით ქტონურ ქვევრში დამკვიდრებული ფილოსოფოსი არა მხოლოდ განერიდებოდა გარეშე სამყაროს და მის პროფანულ ცოდნას, არამედ “ჭურთან” სემანტიკურად დაკავშირებულ “ჭურტში” დასახლებით მოასწავებდა თავის მომავალ მოვლინებას “შუა სკნელის”, ქეშმარიტების, იგივე “სოფიის” სამყაროში. მეორეს მხრივ, დედის საშოში მყოფი ჩვილი სამოთხისებურ გარემოში ნებივრობს, დაბადების შემდეგ კი იგი ამქვეყნიურ ჯოჯოხეთში უნდა დამკვიდრდეს. ამ მოსაზრების გათვალისწინებით გასაკვირი არაა, რომ დიოგენე არ ჩქარობდა თავისი პითოსის მიტოვებას და მის ჩანაცვლებას ყველა სხვა ადამიანისთვის ჩვეულად ქცეული სახლით.

ჩვენი ფესტივალი “სახელობითია” და იგი მიბმულია არა მხოლოდ თბილისთან, არამედ სინოპში დაბადებულ ფილოსოფოს დიოგენესთან, ვიზუალურად კი მის სიმბოლოდ ქვევრიდან ამომავალი კინოფირი იქცა, რომელიც ამავე დროს კიბედაც შეიძლება აღიქვას. ყოველივე ზემოთ ხსენებულის გათვალისწინებით ფესტივალის კონცეფცია, ფილმების შერჩევა-შეფასების კრიტერიუმები და, საერთოდ, მისი დანიშნულება დიოგენესადმი პითიას მიმართვისეულად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

- 1) “გადააფასე ფასეულობები”,
- 2) “განერიდე სამყაროს, მაგრამ დამკვიდრდი არა ჯოჯოხეთში, არამედ სამოთხეში”;
- 3) “შეამზადე სამყარო ახალი, მისთვის ჯერაც არნახული სასწაულების აღსაქმელად”.

### **Unified Psychoanalytic Perception of the Philosopher Diogenes and “Diogenes 2021”**

In Georgian, the idiomatic expression 'sits in a churi' (Large earthenware wine jar, also called in the Eastern Georgia 'Qvevri' used for the fermentation, storage and ageing of wine in our country) is the synonym of the extreme form of ignorance. There are several ways to explain these circumstances. On the one hand, for our distant ancestors, 'churi', the same pitcher – was one of the fundamental, archetypal objects of the chthonic world, or our 'lower world', and the creature found in it was disconnected from the worldly events, which led to his/her ignorance. This is confirmed by numerous archeological or historical samples – our distant ancestors used to trap criminals in the bottle- or pitcher-shaped dungeons beneath the surface of the earth and thus diverted and deprived them from the both-worldly events and other forms of information. On the other hand, if we consider the origin of the word 'churi', which should come from the Megrelian (one of the Kartvelian Languages, an ancestor of the Georgian language) word 'churti', that means 'vagina', and as we know today, is connected with uterus. Indeed, the vagina, the uterus and the jar have similar shapes; and an unborn baby sitting in the uterus is also far from the current events of our world, and the knowledge or information at his disposal is unworldly. But this creature, which is still in the prenatal state, is already alive and extremely active in influencing the invisible and still unknown world – in almost all the cultures on the earth, the main concern of all societies was to protect and raise the next generation, and to accomplish this aim without pregnant women would be absolutely impossible.

The great Greek philosopher Diogenes spent much of his life in a big clay jar, that the ancient Greeks called 'Pythos', and it was his voluntary choice. Ancient Greek Pythoses slightly differed in shape from the Georgian qvevri, or churi, but neither their shape, nor the semantics or meaning and expression 'sitting in the churi' mustn't have been foreign to Diogenes, whose behavior outraged and shocked the public.

Diogenes was born in the city of Sinop on the southern shore of the Black Sea, on the territory of modern Turkey, and these places even today are adjacent to the neighboring Lazeti – the area, where live the modern Lazes (and even it is possible that at that time Sinop was part of Lazeti).

At the same time, we must not forget that the ancient Greeks called the entire pre-Greek world and the corresponding culture widespread in Asia Minor by the word Pelazgi, which in the context of our previous considerations leads to far-reaching conclusions.



For the ancestors of the modern Lazis (who speak the language, very similar to the modern Megrelian) living in the 5th century BC even the origin of the word 'churi' from 'churti' should have been as clear as it is for the Megrelian scholars living in the 21<sup>st</sup> century. The pottery in the picture on the left of this text also proves this – this historical jar has been taken not in a village of Kakheti (Eastern Georgia), but in Sinop, Diogenes' hometown.

According to the legend, young Diogenes, arrived in Delphi, in order to receive an answer to his question posed to the local Pythia: 'What shall I do in the future?' – 'Reassess the values' – was the answer. Surprised by these initially vague words,



the young man moved to Athens some time later, where he joined the school of the local philosopher Antisthenes, the same cynic, and settled in Pythos, to assert his new position. Not surprisingly, that ordinary Athenians mocked the philosopher, shouting at him madly; According to the legend, local hooligans even smashed his clay dwelling. The citizens of Athens did not realize that by crushing his Pythos they could not in any way shake either Diogenes' beliefs or his divine ordinance and mission. The philosopher, who voluntarily settled in a pitcher, not only escaped from the outside world and its profane knowledge, but also settled in the 'churti' semantically connected with the 'churi' to foretell and bring his future manifestation into the "middle" world or the same world of the truth or 'Sophia'. On the other hand, the infant in the mother's uterus dwells in a paradisiacal environment where he/she is cherished, and after birth he/she must be settled in an earthly hell. Given this view, it is not surprising that Diogenes was in no hurry to abandon his Pythos and replace it with a house that had become a habit for all the other human (otherwise profane) beings.

Our festival is 'nominative' and is connected not only with Tbilisi, the capital of Georgia, but also with the philosopher Diogenes, who was born in Sinop. Visually its symbol has become a film reel coming out of a pitcher, which at the same time can be perceived as a ladder, that helps you to climb upward. In view of all the said above, the concept of the festival and the selection-evaluation criteria of the films can be formulated on the basis and in the light of Pythia's answer given to Diogenes many centuries ago; our festival aims to:

- 1) 'Reassess the values',
- 2) 'Flee from the outside world, but dwell not in hell, but heaven'.
- 3) 'Prepare the world to perceive new, unseen miracles'.

თბილისის მოკლემეტრაჟიანი ფილმების  
მე-2 საერთაშორისო ინტერნეტ ფესტივალი  
„დიოგენე 2021“

საორგანიზაციო კომიტეტის და სამუშაო ჯგუფის წევრები

Tbilisi 2<sup>nd</sup> International Short -Film Internet Festival "Diogenes 2021"

Organizing Committee and Executive Team members




**კობა ცხაკაია**

რეჟისორი, მწერალი, პროდიუსერი.

**Koba Tskhakaia,**

Film director, Writer, Producer,



**სოსო მჭედლიშვილი**

კინოდრამატურგი, პროდიუსერი.

**Joseph Mtchedlishvili**

Screenwriter, Producer,




**ნიკა აბრამაშვილი**

კინოპროდიუსერი

**Nika Abramashvili**

Film Producer



**ჟუკა მითაიშვილი**

კინომცოდნე; საქართველოს კინოაკადემიის  
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი.

**Juka Mitaishvili**

Film critic, PR Manager of the Georgian Film  
academy



**თამილა ხუციშვილი**

საქართველოს კინოაკადემიის ოფისის  
მენეჯერი; კოორდინატორი

**Tamila Khutsishvili**

Office Manager of the Georgian Film academy



**ილია ივანოვი**

მულტიმედია, საინფორმაციო და ვებ  
ტექნოლოგიების მენეჯერი

**Ilya Ivanov**

Multimedia, Information and Web technologies  
Manager



**ნინო მღებრიშვილი**

საფინანსო მენეჯერი

**Nino Mghebrishvili**

Financial Manager



**გიორგი ნინოშვილი**

ოპერატორ-მემონტაჟე და ფოტოგრაფი

**Giorgi Ninoshvili**

DPO, video-editor and photographer



**ლევან ყიფშიძე**

მოქანდაკე, პრიზების შემქმნელი

**Levan Kipshidze**

Sculptor, Creator of prizes



**ლელა ოჩიაური**

ხელოვნებათმცოდნე,

<https://diogenesfest.com/khotivari-dynasty/>

**Lela Ochiauri,**

art critic.



**ნინო მხეიძე**

კინომცოდნე


<https://diogenesfest.com/review/>

**Nino Mkheidze**

Film kritik



## დიოგენე 2021 ჟიურის წევრები DIOGENES 2021 Jury Members



### ჟიურის საპატიო თავმჯდომარე


**ელდარ შენგელაია, საქართველო.**  
კინორეჟისორი, საქართველოს სახალხო  
არტისტი, საბჭოთა კავშირის სახალხო  
არტისტი, სახელმწიფო და რუსთაველის  
პრემიების ლაურეატი, მრავალი  
საერთაშორისო კინო ფესტივალის  
პრიზიორი

### Honorary chairman of the Jury

**Eldar Shengelaia, Georgia**  
Film director, People's artist of Georgia, Georgian  
State and Rustaveli Prize laureate, many  
International Film Festival Prize winner.

### ჟიურის თავმჯდომარე

**ირაკლი პაპავა, საქართველო**  
კინოდოკუმენტალისტი,  
საქართველოსკინოაკადემიის  
ნამდვილი წევრი, 30-მდე  
დოკუმენტური და სამეცნიერო-  
პოპულარული ფილმისა და სცენარის  
ავტორი, საზოგადოებრივი  
მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრი.  
ანდრია პირველწოდებულის ჯვრის  
ორგზის ლაურეატი.



### Chairman of the Jury

**Irakli Papava, Georgia**  
documentary filmmaker, member of the Georgian Film  
Academy, author of about 30 documentaries and  
popular scientific films and screenplays, member of the  
Board of Trustees of the Georgian Public Broadcaster.  
Twice he won the Cross of St. Andrew the First-Called

**დიმიტრი პოპოვი, გერმანია**

მიუნხენის Hochschule Fresenius-ის  
უნივერსიტეტის მედია დიზაინის პროფესორი.  
მოდრაობის დიზაინისა და მენეჯმენტის (BA) და  
Medien- und Kommunikationsmanagement (BA)  
დეპარტამენტების დეკანი.

**Dmitri Popov, Germany**

Professor of Media Design at Hochschule Fresenius  
University in Munich. Dean of Motion Design &  
Management (BA) and Medien- und  
Kommunikationsmanagement (BA) Departments.



**ია სუხიტაშვილი**

კინოსა და დრამის მსახიობი

მუშაობს შოთა რუსთაველის ეროვნულ აკადემიურ  
თეატრში, არის მრავალი თეატრალური ჯილდოს  
მფლობელი.

**Ia Sukhitashvili, Georgia**

A film and drama actress. Now she works at Shota  
Rustaveli National Academic Theater. She has won many  
theatrical awards.



**მოჰამედ ატეფი** ეგვიპტე კინოკრიტიკოსი და  
ავტორი რამდენიმე წიგნისა, რომლებიც  
ეძღვნება არაბულ კინოსამყაროს. ეგვიპტეს  
კინოკრიტიკოსთა ასოციაციის დირექტორთა  
საბჭოს წევრი.

**Mohamed Atef Egypt**

Film critic, and author of several books, dedicated to  
Arab Cinema. Member of the Board of Directors of  
the Egyptian Film Critics Association





**ნათია რაჭველიშვილი**, საქართველო  
ჟურნალისტი, კინოპროდიუსერი. თბილისის  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი და  
უნივერსიტეტის სტუდენტური კინო- ტელე  
ფორუმის ერთ ერთი ორგანიზატორი.

**Natia Rachvelishvili**, Georgia journalist, film  
producer.

Guest lecturer and one of the organizers of the student  
film forum at the Faculty of Journalism of Ivane  
Javakhishvili Tbilisi State University

**პიერ მათიოტი**, საფრანგეთი  
ყოფილი ტანმოვარჯიშე და მეზღვაური,  
ამჟამად კინოდოკუმენტალისტი,  
საპროდიუსერო კომპანია Cinergie  
Productions დამფუძნებელი, რომელიც  
თანამშრომლობს ფრანგულ და უცხოურ  
მაუწყებლებთან.

**Pierre Mathiot** France

A former gymnast and sailor, today  
filmdocumentalist and producer, the founder of  
Cinergie Productions that works currently with  
French and foreign broadcasters.



**თამარ დულარიძე**, საქართველო  
დაამთავრა მოსკოვის საკავშირო სახელმწიფო  
კინემატოგრაფიის ინსტიტუტის (ვგიკ-ი)  
კინომცოდნეობისა და კინორეჟისურის  
ფაკულტეტები. მის მიერ გადაღებული  
ფილმები დაჯილდოვებულია საერთაშორისო  
ფესტივალებზე, არის ასამდე რეცენზიისა და  
ესსეს ავტორი.

**Tamar Dularidze**, Georgia

She had graduated from the Moscow State Institute of  
Cinematography (VGIK) twice – in the field of film studies  
and as Feature film director. Her films had been awarded  
at International Film festivals. She had published over a  
hundred reviews and essays.



ხოტივარების კინემატოგრაფიული ოჯახის სამი თაობის წარმომადგენელთა  
(ლევან (1902-1980), ქართლოს (1936-1989), რამაზ (ბუბა) (1946-2021) ხოტივარები,  
ზურაბ თუთბერიძე) ქართული კინოს განვითარებაში გაწეული დიდი ღვაწლისა და



დამსახურების აღსანიშნავად, თბილისის მოკლემეტრაჟიანი ფილმების მე-2 საერთაშორისო ინტერნეტ-ფესტივალი “დიოგენე 2021”-ის მესვეურებმა გადაწყვიტეს ფესტივალის ფარგლებში დაწესდეს სპეციალური პრიზი და სიგელი, სახელწოდებით „სერენადა“. ისინი გადაეცემათ ფესტივალის საკონკურსო პროგრამაში მოხვედრილ მოკლემეტრაჟიან ფილმებს, რომლებიც გამოირჩევიან კრეატიულობით, ჰუმანურობითა და იუმორით.



**Levan Khotivari (1902-1980)**



**Kartlos Khotivari (1936-1989)**



**Ramaz-Buba Khotivari (1946-2021)**

Since the recently deceased Georgian film director Raaz (Buba) Khotivari stands at the origins of the DIOGENES festivals, and also noting the great merit in the development of Georgian cinema of representatives of three generations of the Khotivari cinematic family (Levan (1902-1980), Kartlos (1936-1989), Ramaz-Buba (1946-2021) Khotivari, Zurab Tutberidze, it was decided within the framework of the 2<sup>nd</sup> Tbilisi International Short Films Internet Festival "Diogenes 2021", to establish a Special Prize and 'Serenade' Diploma in honor of the famous 1968 short film, directed by Kartlos Khotivari. The winners should be distinguished by their creativity, humanity and humor, and will be awarded to Feature short films included in the competition program of the DIOGENES festival.

A special commission will be formed to determine the Special Prize and the Diploma winners.

The winners of the Prize and diploma will be awarded during the closing ceremony of the DIOGENES festival.



## კომისია „სერენადას“

### საპატიო პრიზისა და დიპლომის გამოსავლენად

#### Commission to determine the SERENADA

#### Honorable Prize and Diploma winners.



**ლევან თუთბერიძე** - კინორეჟისორი, მსახიობი, თბილისის სახელმწიფო თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, „ქართული კინოს განვითარების ცენტრის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, მრავალი საერთაშორისო კინოფესტივალის გამარჯვებული.

**Levan Tutberidze** - film director, actor, Tbilisi State Theatre and cinema University associate professor, member of the Supervisory Board of the "Georgian film development center", many International Film Festival prize winner

#### გიორგი ოვაშვილი

კინორეჟისორი, სცენარისტი და პროდიუსერი, კომპანია ვაგონეტი ფილმი -ს თანადამფუძნებელი, მრავალი საერთაშორისო კინოფესტივალის გამარჯვებული.

**George Ovashvili**, a Georgian Film director, scriptwriter and producer, founder of the production company "Wagonnet Films", many International Film Festival prize winner



#### რუსუდან გლურჯიძე

კინო-რეჟისორი, სცენარისტი, მრავალი საერთაშორისო კინოფესტივალის გამარჯვებული და პრიზიორი

#### Rusudan Glurjidze

Film director, screenwriter, prize-winner of many international film festivals


# დიოგენე DIOGENES 2021

## საკონკურსო ფილმები Films in Competition ანიმაცია Animation

### მიტოვებული / Abandoned 5:00 <https://youtu.be/mhjGbuEDRGA>

მიტოვებული საცურაო აუზის მსგავს გარემოში და-ძმა ბავშვობისდროინდელი ტრავმის წინაშე დადგებიან. წყლით გავსებული აუზის ფსკერზე დიდი ხნის წინ ჩაძირული, დამახინჯებული ემოციები და განცდები სადაცაა კვლავ ამოტივტივდებიან ზედაპირზე.

Within the reminiscent setting of an abandoned swimming pool, two siblings are faced with their childhood trauma. Twisted emotions, long banished to the watery depths of the pool floor are about to resurface.



**ემილია შნაიდერი**, დიდი ბრიტანეთი ანიმატორი და ილუსტრატორი გერმანიიდან, უკანასკნელი 3 წელი ხვეწს თავის პროფესიულ უნარებს მანჩესტერში.

**Emilia Schneider**, United Kingdom

Animator and illustrator Emilia Schneider is a British-German native, who has spent the last three years completing her animation degree in Manchester. Emilia's work focuses on creating vibrant and surrealist animation to accompany dramatic storylines. After her second year film was nominated for an RTS award, her third year film 'Abandoned' proceeds as her final student project before entering into the animation industry.

## ცუდი მწერები / Bad Bugs 2:00 <https://www.youtube.com/watch?v=ly8csvNifXI>

10 წლის ბრინმა გადაიღო ფილმი პლასტილინისაგან გამოძერწილი ფიგურებით „მწერებთან დაკავშირებით თქვენს წინაშე მდგარი პრობლემების ბუნებრივად გადაწყვეტის“ მნიშვნელობის შესახებ – ის, რაც მას ნამდვილად მოსწონს. ეს იდეა გოგონას მატლების შეგროვებისას გაუჩნდა, რომელთაც იგი ჩიტებისა და ხვლიკებისათვის აგროვებს. ბრინს მებაღეობის თითქმის ისევე უყვარს, როგორც ანიმაცია, ასე რომ ეს ორი გატაცება შესანიშნავად შეერწყა ერთმანეთს.

10 year old Bryn made a claymation movie about the importance of using "natural solutions for your bug problems" – something she's passionate about. The idea came after one of her "grub hunting" sessions (she loves gathering grubs for the birds and lizards). She loves gardening almost as much as animation, so it was a perfect fit.



**ბრინ რაიტი** ამერიკის შეერთებული შტატები

10 წლის სკოლის მოსწავლე,  
მებაღეობისა და ანიმაციის მოყვარული

**Bryn\_Wright**, United States,  
10 year old schoolgirl, gardening and  
animation fan



## უფრთხილდი მგელს! /Beware the Wolf! 00:57

<https://www.youtube.com/watch?v=nM5OGepREKY>

წითელქუდას კიდევ ერთხელ უნდა მოუტანოს ბებუას ნამცხვარი, ქილა ჯემი და კარაქი. მაგრამ ამჯერად მგელი თავის ტრადიციულ ადგილზე არ იმყოფება

Once again, Little Red Riding Hood has to bring a cake, a jar of jam and butter to his grandmother. But this time, the wolf is not at the rendezvous



**ჟიული რემბოვილი** დაიბადა პარიზში 1982 წელს. სწავლობდა ლიტერატურასა და აუდიოვიზუალს სორბონის უნივერსიტეტში. 2003 წელს მან გამოსცა თავისი პირველი წიგნი ბავშვებისთვის *Je ne me laisserai pas faire!* (მე არ დავუშვებ მათ ეს გააკეთონ!) გამოსცა მხატვარ ნიკოლას ბიანკო-ლევრინთან თანამშრომლობით. ამის შემდეგ ისინი ადაპტაციის პრინციპზე დაყრდნობით მუშაობდნენ ფილმებსა და წიგნებზე. 2006 წელს მათ მიიღეს CIELJ-ის (ბავშვთა ლიტერატურის საერთაშორისო ცენტრის) ჯილდო საუკეთესო DVD წიგნისთვის. ის ახლა მუშაობს ანიმაციურ სერიულ პროექტზე ტელევიზიისთვის, KROAK, და მოკლემეტრაჟიან ფილმზე *Ombre qui vole*-ზე.

**Julie Rembauville** was born in Paris in 1982. She studied literature and audiovisuals at La Sorbonne University. In 2003, she published her first book for children, *Je ne me laisserai pas faire !* (I won't let them do it !) working with the drawer Nicolas Bianco-Levrin. Then, they realized films and books, working on adaptation principle. The Machino received the award of the best DVD-book for children in 2006, given by the CIELJ (International Center of Literature for Children) She's now working on an animated serie project for TV, KROAK, written with Nicolas Bianco-Levrin and produced by Sacrebleu productions and on a short *Ombre qui vole*



## რეჟისორი /Director 7:00

<https://vimeo.com/237618465> Password: . (უბრალო წერტილია) = (simply the dot)

რეჟისორს პრობლემა შეექმნა..

the Director get into problem...



**აზად ჯაფარპური, ირანი**

დაიბადა 1983 წელს,  
ბიოლოგიის ბაკალავრი  
გადაიღო ერთი მოკლემეტრაჟიანი და სამი  
ანიმაციური ფილმი

**Azad Jafarpour Iran**

He was born in 1983,  
BA of biology ,  
He made one short film and three animations

## გოგონა და ღრუბელი /Girl and Cloud 11:00

<https://vimeo.com/592599711> Password: 112233

ფილმში ასახულია ბიჭისა და გოგოს ურთიერთობები. ის გვიჩვენებს, რა შეუძლია სიყვარულის ძალას. მოკლედ რომ ვთქვათ, ფილმი ბიჭსა და გოგოზეა, რომლებმაც უნდა ნახონ და იგრძნონ ერთმანეთი, იმისთვის რომ მათ შორის სიყვარული გაღვივდეს.

This film illustrates the relationship between a boy and a girl. It shows what the power of love can do. To summarize, the film is about a boy and a girl who must see and feel each other to appear a love between them.



**შოკირ ხოლიკოვი** უზბეკეთი  
დაიბადა 1992 წელს უზბეკეთის  
სურჰანდარიოს რაიონში. 2014 წელს  
ჩააბარა უზბეკეთის ხელოვნებისა და  
კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტში  
"კინოს, ტელე და რადიოს რეჟისურის"  
სპეციალობაზე. 2018 წელს დაამთავრა  
ინსტიტუტი ბაკალავრის ხარისხით.  
ამჟამად არის უზბეკეთის ხელოვნებისა  
და კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის  
მაგისტრანტი. . მუშაობს უზბეკეთის  
ეროვნულ სააგენტოში და უზბეკეთის  
ეროვნულ ტელერადიო კომპანიაში.

### **Shokir Kholikov** Uzbekistan

Born in 1992 in Surhandaryo region in Uzbekistan. In 2014 he enrolled the Uzbekistan State Institute of Arts and Culture on the "Film, TV and Radio directing" division. In 2018 he graduated from the institute with a bachelor's degree. Currently a master's student at the Uzbekistan State Institute of Arts and Culture. He works for the Uzbekkino National Agency and the National TV and Radio Company of Uzbekistan.


## ვზივარ და გარეთ ვიყურები / I sit and look out 10:09

Animation <https://youtu.be/2wVySAEGGS0>

ფილმი შედგება აბსურდული სცენების წყებისგან; მას მუდმივად წყვეტს მთხრობელის შინაგანი მონოლოგი, რომელიც ფოტოგრაფიულ კვლევას ეძღვნება. რეალისტური და ირეალური სურათების მონაცვლეობაში ვლინდება ფილმის შიდა თემა, რომელიც ასახავს სხვადასხვა სოციალურ პრობლემას უნიკალური მხატვრული იდეის სახით.

სათაური "ვზივარ და ვუყურებ" და რეალისტური და ირეალური შრეების დასაწყისის გამყოფი სამი წარწერა – "ვხედავ, მესმის და ვუსმენ", ერთობლიობაში ხსნიან ფილმის თემას და მთავარ გზავნილს – საბოლოო ანგარიშში მაყურებელი უნდა დაფიქრდეს.

The film consists of a coherent series of different absurd scenes that are constantly interrupted by the narrator's internal monologue, which is about a photographic research. In the alternation of realistic and surreal images, the inner theme of the film unfolds, reflecting various social problems in the form of a unique artistic idea. The title I Sit and look out, and the three captions – which separate the beginning of the realistic and surreal planes – I See, I Hear and I Listen, together intend to unfold the theme or message of the film – through the images of the film – which ultimately calls for attention from the audience to one thing: to thinking.



### გაბორ ბალაში რუმინეთი

დაიბადა 1997 წ., 2019-2021 წლებში სწავლობდა ბაბეს-ბოლიაის უნივერსიტეტის მაგისტრატურაში მოკლემეტრაჟიანი ფილმების განხრით.

### Gábor Balázs Romania

Born in 1997,

2019 – 2021 – Babeș-Bolyai University, MA: Short film College

2019 – 2021 Babeș-Bolyai University

MA: Critical Theory and Multicultural Studies

2016 – 2019 – Partium Christian University College

BA: Fine Arts Graphics




## კოლობოკი –ხელქმნილი კვერი /Kolobok. Handmade 9:30'

<https://www.youtube.com/watch?v=WQOIPFEYFgs>

თავიდან ბოლომდე მოყოლილი ტრადიციული რუსული ზღაპარი მომღერლის ცხოვრების შესახებ

Traditional Russian tale about a life of a singer from beginning to an end



**ქსენია კანდაუროვა** რუსეთის

ფედერაცია

დაიბადა 1977 წელს სოჭში, რუსეთი.

წარჩინებით დაამთავრა სამარას

ხელოვნების კოლეჯი, ანიმატორის

კურსები საპილოტე სტუდიაში, მოსკოვი.

მუშაობს ანიმატორად Pilot Studio-ში და

სხვა პროექტებზე, როგორც

დამოუკიდებელი რეჟისორი და

ანიმატორი. დაოჯახებულია, ჰყავს 3

შვილი.

სარეჟსორო ნამუშევრები:

"Kolobok. Handmade", 2021 წ

"მზე, ცა", 2021 წ

"პიზეცი", 2017 წელი

**Ksenia Kandaurova** Russian Federation

born 1977 in Sochi, Russia. Graduated with

honours from Samara's College of Arts,

animator's courses by Pilot Studio, Moscow.

Works as an animator on Pilot Studio and other

projects, as a freelance director and animator.

Married, has 3 children.

Director's Statement:

"Kolobok. Handmade", 2021

"Sun, sky", 2021

"Pizec", 2017

## ცხოვრების გაფურჩქვნა /Life unfolded 9:59

<https://youtu.be/CO4-1qn8b6g>

ცხოვრება, თავის მსვლელობაში, ავლენს საკუთარ თავს მოგონებების და იმ ნაკვალევების მეშვეობით, რომლებიც აისახებიან ჩვენს ცნობიერებაში  
Life as it unfolds, through the memories and traces left in our minds.



**B**



**hopal** France

Born in 1981, Bhopal began his work as an artist creating comics during childhood. From there he trialled different mediums – writing, painting, rap, city walls – until 2008 when he started working with video and sound arrangement, quickly followed by animation. Since then he has been experimenting with the different techniques and new potential available to him, with a strong adherence to independence and the "handmade."

### ბჰოპალი საფრანგეთი

1981 წელს დაბადებულმა ბჰოპალმა ბავშვობაშივე დაიწყო მუშაობა, როგორც მხატვარმა, ქმნიდა კომიქსებს. ამის შემდეგ მან მოსინჯა ძალები მედიის სხვადასხვა დარგში – წერაში, ფერწერაში, რეჟში, ქალაქის კედლებზე მხატვრობაში. 2008 წლიდან დაიწყო მუშაობა ვიდეო ხელოვნებასა და და ხმის არანჟირებაზე, რასაც სწრაფად მოჰყვა ანიმაცია. მას შემდეგ ის ატარებს ექსპერიმენტებს სხვადასხვა ტექნიკის გამოყენებით და იძიებს ახალ შესაძლებლობებს, ამასთან ინარჩუნებს დამოუკიდებლობას და ერთგულია „ხელნაკეთობის“ პრინციპისა.



## მატრიციდი /Matricide 2:40

<https://youtu.be/MhMXmGMCeGY>

იუმორისტული თრილერი ქალის ბრძოლის შესახებ ქალაქში გადაგდებულ ნაგავთან. ჰიჩკოკს "ჩიტებში" ყვავების ნაცვლად ლეიბები რომ გადაედო, სავარაუდოდ, მსგავსი ფილმი გამოუვიდოდა.

A humorous stop motion thriller following one woman's fight with urban fly-tipping. If Hitchcock made 'The Birds' with mattresses instead of crows, it would look something like this.



**Gemma Rigg** United Kingdom  
Gemma is an award-winning stop motion director from London specialising in humour. Gemma started her career as an actress and comedian and moved into screenwriting; graduating from Royal Holloway University of London with an MA (dist.) in screenwriting. Gemma started learning stop motion animation just 2 years ago and has since made 4 short films, 3 of which have won 5 festival awards. Her first 2 films from the 'Hoe Street' series were screened across the globe and are currently distributed by Aardman Animations. Hoe Street: Sharon is available to watch on The Short Film Show on Amazon Prime, where it won best original content.

**ჯემა რიგი** დიდი ბრიტანეთი  
ჯემა მოღვაწეობს ლონდონში, ფლობს ჯილდოს stop motion რეჟისურაში, მისი ვიწრო სპეციალიზაციაა იუმორი. ჯემამ კარიერა დაიწყო როგორც მსახიობმა და კომიკოსმა და გადავიდა სცენარების წერაზე, დაამთავრა ლონდონის სამეფო ჰოლოუეის უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხით (დისტ.) სცენარისტის მიმართულებით. ჯემამ სტოპ-მოუშენის ანიმაციის სწავლა სულ რაღაც 2 წლის წინ დაიწყო და მას შემდეგ გადაიღო 4 მოკლემეტრაჟიანი ფილმი, რომელთაგან 3 ფესტივალის 5 ჯილდოს მფლობელია. მისი პირველი 2 ფილმი "Hoe Street"-ის სერიიდან ნაჩვენები იქნა მთელ მსოფლიოში და ამჟამად მათ დისტრიბუციას Aardman Animations- ახორციელებს. Hoe Street: Sharon ხელმისაწვდომია The Short Film Show-ზე Amazon Prime-ზე, სადაც მან მოიგო პრიზი საუკეთესო ორიგინალური შინაარსის ნომინაციაში.



## დანომრილი სურათები / Painting By Numbers 4:23'


Animation

[https://vimeo.com/476123545/d568ac0efc?fbclid=IwAR0\\_YahqEfcfspOeqR1aCFjJaRWzPIM4tsdRi2HhWy3RZUhS91PbhQQlmgE](https://vimeo.com/476123545/d568ac0efc?fbclid=IwAR0_YahqEfcfspOeqR1aCFjJaRWzPIM4tsdRi2HhWy3RZUhS91PbhQQlmgE)

ბავშვის გაცნობა კლასიკურ შედეგებთან იწვევს გასხივოსნებას.

BRIEF SYNOPSIS: A child's encounter with classic masterpieces triggers a confronting epiphany

LONG DESCRIPTION: When we look at great art, do we realise it is looking back? With eyes that see more clearly than we do? In a mysterious gallery imbued with strange life, shadows of the past and unresolved futures collide when a child's vision peels away the layers of what we call 'reality'...join a journey through the masterpieces you thought you knew as their hidden souls are finally given a voice. As layers of contemporary 'reality' are stripped away, art's unseen soul brings a challenge we can neither ignore nor escape. Or can we? Will their message be heard in time? The door is open. The masters' works await us. Who will enter?



**Radheya Jegatheva**  
Australia  
Radheya Jegatheva is an Oscar qualified and AACTA nominated filmmaker based in Perth, Australia and born in Johor,

Malaysia to parents of South Korean, Japanese, Indian and Malaysian ancestry. He is a Bachelor of Commerce and Arts graduate from Curtin University (2021) in Western Australia. Radheya's films have been selected to 26 Academy Award Qualifying Festivals. His 2019 film, *The Quiet* was Oscar qualified, and his 2017 film *iRony* was nominated for an Australian Academy of Cinema & TV Arts (AACTA) Award.

### რადეია ჯეგათევა ავსტრალია

რადეია ჯეგათევა არის საოსკარედ კვალიფიცირებული და AACTA ნომინირებული კინორეჟისორი, რომელიც ცხოვრობს პერტში, ავსტრალია და დაიბადა ჯოჰორში, მალაიზია. მის ძარღვებში ჩქეფს სამხრეთ კორეული, იაპონური, ინდოელებისა და მალაიზიელების სისხლი. ის არის კომერციისა და ხელოვნების ბაკალავრი კურტინის უნივერსიტეტიდან (2021) დასავლეთ ავსტრალიაში. რადეიას ფილმები შერჩეულია ოსკარის საკვალიფიკაციო 26 შესარჩევ ფესტივალზე. მისმა 2019 წლის ფილმმა *The Quiet* მიიღო ოსკარის კვალიფიკაცია, ხოლო 2017 წლის ფილმი *iRony* იყო ნომინირებული ავსტრალიის კინოსა და სატელევიზიო ხელოვნების აკადემიის (AACTA) ჯილდოს მოსაპოვებლად.

## ცხოველი / Re-Animal 12:00

Animation <https://youtu.be/z4HUquSpfU8>

დანაშაულთა წყება აღაშფოთებს ქალაქს, თუმცა, მხოლოდ ერთ ადამიანს შეუძლია იპოვოს დამნაშავე: ესაა ტონი კლუესი. როდესაც მოკლავენ ბატონ და ქალბატონ მენდოზას, მათი ოჯახი გადაწყვეტს ტონის დაქირავებას. მაგრამ დრო გადის, ჩნდებიან ახალი მსხვერპლები, პოლიცია კი ვერაფერს სჩადის. ტონის მოუწევს გამოიყენოს ყველა მისთვის ცნობილი ხერხი, რათა ამოხსნას ამოცანა: ვინ დგას ამ სისხლიანი დანაშაულების უკან?

A series of crimes is devastating the city and there is only one person who is capable of finding the culprit: Toni Clues. When Mr. and Ms. Mendoza are murdered, their family decides to hire him. But time is against him as new victims begin to appear and the police are nowhere to be seen. He will have to use all his track-hunting skills to try to solve the mystery: who is behind such gory deaths?



### რუბენ გარსერა ესპანეთი

ოთხმოციან წლებში დაბადებული რუბენი სწავლობდა სახვით ხელოვნებას სან კარლოსის უნივერსიტეტში (ვალენსია). 6 წლის განმავლობაში ის პროფესიონალურად მუშაობდა ანიმატორად და მოდელების შემქმნელად. მოცემული მოკლემეტრაჟიანი ფილმის 99% მან თავად გადაიღო.

### Ruben Garcera Spain

Born in the eighties, Rubén studied Fine Arts at the University of San Carlos (Valencia). He has been professionally dedicated to stopmotion animation as animator/modelmaker for 6 years. 2021 - Release of Re-Animal (stop motion short film). He made 99 % of this short film by himself. 13 minutes long. 2018 - CURRENT - Workshop manager (modelmaker) at Inspiranimation Studio (Valencia) working for Ubisoft, Hasbro, Heliocare, etc. 2016-2017 - Children's series for Happy Surprises YouTube channel. 2014-2015 - Advertising pieces for various clients (video game studio, digital platforms).




## წითელი. შიდა შეფერილობა / Red. The Color Within 5:00

Animation <https://vimeo.com/475314270> Password: R3d5h0rtF1lm!

შემოქმედებითი ჟინით შეპყრობილმა ახალგაზრდა მხატვარმა დანამ მეორე დღით კონკურსისთვის ტილო უნდა წარადგინოს, თუმცა მის დასამთავრებლად წითელი საღებავი ამოეწურა. გოგონა ცდილობს იპოვოს ხელოვნების ნივთებით მოვაჭრე მაღაზია, რომელიც გვიან ღამით ღია იქნება, მაგრამ ვერ მიაგნებს. შინ დაბრუნებისას, როდესაც ყველა შესაძლებლობა ამოიწურება, სიბნელეში ჩაფლულ ხეივანში გამოჩნდება კიდევ ერთი შესაძლებლობა, რომელიც გოგონას ჭეშმარიტ ბუნებას გამოავლენს.

Dannae, a young artist obsessed with her work has to submit a canvas in a contest the morning after and she's already out of red paint to finish it. She tries to find an art supply store working late at night, but finds none. On her way back home, and out of options, the darkness of an alleyway will give her a solution that shows her real human nature



### ვილიამ ლა პორტილია პერუ

დაიბადა 1980 წელს, ტრადიციული და ციფრული მხატვრობის მიმდევარი. ის მუშაობდა სტუდენტურ ანიმაციურ მოკლემეტრაჟიან ფილმზე RED: The Color Within, როგორც რეჟისორი, დამდგმელი მხატვარი, ფერების დამყენებელი და ანიმატორი. ის მონაწილეობს სხვადასხვა 3D ანიმაციურ პროექტებში ტელევიზიისა და კინოსათვის. მუდამ ღიაა სხვადასხვა ანიმაციური ტექნიკის ასათვისებლად თავისი პროფესიული დონის ასამაღლებლად; პარალელურად ის სწავლობს იმედებს ცოდნას სინათლის, ფერის, ანატომიისა და კინემატოგრაფიის მიმართულებით.

### William La Portilla Peru

Born in 1980, traditional and digital artist. He was part of a student animation short film named RED: The Color Within as Director, Lead Artist, color key artist and animator. He continues to participate in different 3d animation projects for tv and cinema. Always learning about animation technics to improve his work and in a parallel way studying all relative to light, colour, anatomy and cinematography.




## დილიჯანსი /Stagecoach 5:09'

Animation [https://drive.google.com/drive/folders/1jQByHV33f5MBfGtJOvW6\\_CE\\_IvNeq4](https://drive.google.com/drive/folders/1jQByHV33f5MBfGtJOvW6_CE_IvNeq4)

ამბავი კაცისა, რომელსაც არ შეუძლო დაეჯერებინა სასწაულის არსებობის ამბავი.

The story of a man who could not believe in a miracle



**ანა ბულახოვა** რუსეთის ფედერაცია

რაც თავი მახსოვს, ყოველთვის ვხატავდი. ამან განსაზღვრა ჩემი შემდგომი ცხოვრების გზა. ახლა ვიღებ მეორე განათლებას სპეციალობაში „ანიმაციური ფილმის რეჟისორი“ და მინდა ამ მიმართულებით შემდგომი წინსვლა.

**Anna Bulakhova** Russian Federation

As far back as I can remember, I have always been drawing. This determined my further life path. Now I am getting my second education in the specialty "Director of an animated film" and I want to progress in this direction further.

## დაბადება / THE BIRTH 2:44

Animation <https://youtu.be/Kp0wRdMDcQY>

ეს ანიმაციური ფილმი შეგვახსენებს იმ დაპირებებს, რომლებიც მივიღეთ უკეთესი მსოფლიოს შესაქმნელად. ახალმა წელმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადაიტანოს ჩვენი ყურადღება იმიდან, თუ რა ხდება, რა მოხდა და რა უნდა გაკეთდეს ამ ეტაპზე.

როგორც პასუხისმგებლიანმა ადამიანებმა, ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ და არ შეიძლება რომ დავივიწყოთ. ეს ერთადერთი სამყაროა, რომელიც ჩვენ გვაქვს და ჩვენზეა

დამოკიდებული, დავტოვებთ თუ არა მას სუფთად, მწვანედ და უსაფრთხოდ... მომავალ თაობებს. ეს არის ჩვენი ერთადერთი იმედი ... და ალბათ ჩვენი ბოლო შანსი

A new year crash-landed on the world and somehow it seemed that the fear of the pandemic had taken a backseat. With travel opening up and vaccination starting, hope had arrived but the dangers of Covid 19 still loomed large. It was time to sit back and reflect on the year gone by. It was also the time to deliver on the promises the global citizens defying borders took during the height of the pandemic in 2020. The world needed saving, and the only ones who could do that is the 7.7 billion people that reside in it. This animation film is a reminder of the various oaths we took to give birth to a better world. A new year shouldn't in any way divert our attention to what is still happening, what had happened and what is needed to be done at this point of time. As responsible individuals we mustn't forget and we shouldn't forget. This is the only world we have and it's up to us to make it clean, green and safer...for the generations to come. That is our only hope...and probably our last chance as well.



### არჯუნ მუხერჯი ინდოეთი

ვიცე პრეზიდენტი და აღმასრულებელი კრეატიული დირექტორი, Wunderman Thompson სამხრეთ აზია. 46 წლის, აღმასრულებელი კრეატიული დირექტორი რეკლამაში. მოპოვებული აქვს მრავალი საერთაშორისო პრიზი

### Arjun Mukherjee India

